დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

11.03.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი- **ინგა**

გვარი- **ბოჭოიძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ქიმია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ქიმია - 0531
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, #694528, 09/07/2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 25 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2021 წლის 27 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 26 ივნისი

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

1. გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ დაცული იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
3. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდირებულია, განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების სათანადო კომპეტენციები;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების მექანიზმები;
5. რეკომენდირებულია, პროგრამის თითოეულ მოდულში სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის შესაძლებლობა;
6. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
7. გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით;
8. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

სსიპ - ივანე ჯავახიშვიის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა, აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის #694528 გადაწყვეტილებით. გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად დაწესებულებას განესაზღვრა 6-თვიანი ვადა, 2021 წლის 27 დეკემბრამდე. 2021 წლის აგვისტოდან პროგრამის განვითარების და ხელშეწყობის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და შექმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა გამართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ერთად იმსჯელა და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. განახლებული პროგრამა დამტკიცდა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (24/12/2021).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას და მტკიცებულებებს გაცემულ 8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა 6-თვიან პერიოდში შეასრულა მოცულობითი სამუშაო და გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სრულადაა შესრულებული შვიდი რეკომენდაცია, ხოლო მეტწილად ერთი რეკომენდაცია.

რჩევ(ებ)ი

1. სასურველია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიზანი, პედაგოგიურ საქმიანობასთან მიმართებით;
2. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და უზრუნველყოს მისი განთავსება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
3. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას;
4. სასურველია, სტუდენტების მიერ ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დავალების ჯგუფურად შესრულების შემთხვევაში, დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები, რათა წინასწარ იყოს ცნობილი როგორ მოხდება ჯგუფის თითოეული წევრი-სტუდენტის შეფასება;
5. სასურველია, დაზუსტდეს სტუდენტის შეფასების შემდეგი კომპონენტი „ლექციაზე დასწრება-აქტიურობა“, პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება-აქტიურობა“;
6. სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების სარგებლობის შესახებ, მათ შორის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას;
7. სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები სპეციალობის შესაბამისად, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;
8. სასურველია, ყველა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, გამოყენებული იქნას თანამედროვე ლიტერატურა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაუწიონ სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციები სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[6]

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გაცხადებული აქვს საკუთარი პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ გაცემული რჩევები არის მისაღები და სასარგებლო, რომლებსაც პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპებზე გაითვალისწინებენ.

დამატებითი ინფორმაცია[7] -

[6] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[8]

სტანდარტის დასახელება[9]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[10]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 1	გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ დაცული იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“ სწავლის შედეგების რუკა წარმოდგენილია განახლებული სახით, უზრუნველყოფილია შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“ სწავლის შედეგების რუკა.

სტანდარტის დასახელება[11]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[12]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია 2	რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და მათი გაზომვადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო კურსებით, რაც დასტურდება განახლებული სწავლის შედეგების რუკით. წარმოდგენილია სასწავლო კურსების გადამუშავებული სილაბუსები, სადაც შესწორებულია სწავლის შედეგები და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არის სასწავლო კურსები, რომლებშიც სწავლის შედეგები მაგალითად, პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში რეალურად მიიღწევა, მაგრამ მათი გაზომვა კურსის ფარგლებში რთულია. სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“ სტრუქტურა ითვალისწინებს 8 მოდულს და პირველი სემესტრის შემდეგ სტუდენტები ირჩევენ ერთ-

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[9] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[10] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[11] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[12] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	ერთ მოდულს. შესაბამისად, პირველი სემესტრის სასწავლო კურსის „თანამედროვე ქიმიის თეორიული საფუძვლები“, სწავლის შედეგი „შეუძლია საკუთარ საქმიანობისა და პროფესიულ განვითარების დაგეგმვა.“ რეალურად მიიღწევა, თუმცა მათი გაზომვა ამ კურსის ფარგლებში ვერ ხორციელდება.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სწავლის შედეგების რუკა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია 3	პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდირებულია, განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების სათანადო კომპეტენციები.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შესაბამისი ცვლილებები შეიტანა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში და განსაზღვრა პროგრამაზე დაშვების სათანადო კომპეტენციები. კერძოდ, დაკონკრეტდა საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი კვალიფიკაციები (მეცნიერების ბაკალავრი/ბაკალავრი ქიმიაში; მეცნიერების ბაკალავრი/ბაკალავრი ბიოლოგიაში, ეკოლოგიაში, ფიზიკაში მეორადი სპეციალობით „ქიმია“; მეცნიერების/ინჟინერიის ბაკალავრი/ბაკალავრი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში; ფარმაციის ბაკალავრი), რომელთა კურსდამთავრებულებსაც შეუძლიათ სამაგისტრო პროგრამაზე „ქიმია“ სწავლის გაგრძელება. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია 4	რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების მექანიზმები.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაამუშავა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში, განსაზღვრა, როგორც დაშვების შესაბამისი

	მექანიზმები, ისე კომპეტენციები (მე-3 რეკომენდაციის შესაბამისად).
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია 5	რეკომენდირებულია, პროგრამის თითოეულ მოდულში სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის შესაძლებლობა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ცვლილებები განხორციელდა პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის შვიდივე მოდულში სავალდენულო კომპონენტად განისაზღვრა ინგლისური ენა $B^{2.1.}$ და ინგლისური ენა $B^{2.2.}$ სასწავლო კურსები. შესაბამისად, თითოული მოდულის ზოგიერთ სასწავლო კურსს შეეცვალა სტატუსი.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“; • ინგლისური ენა $B^{2.1.}$ და ინგლისური ენა $B^{2.2.}$ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია 6	გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა გადაამუშავა რიგი სასწავლო კურსების (ექვსი სასწავლო კურსი) სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოიყვანა სასწავლო კურსების შინაარსთან.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია 7	გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები

	და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ყველა სასწავლო კურსში, რომელთა სწავლის შედეგები ითვალისწინებს ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შეფასების კრიტერიუმებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნულ სასწავლო კურსებში, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა, ლაბორატორიული მეცადინეობების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (25%). აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო ასევე საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ და სამაგისტრო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზის“ შემთხვევაში და დაწესებულებამ სამივე პროგრამაში გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“; • სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია 8	რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** განხორციელდა შესაბამისი ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და განისაზღვრა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია, ასევე გაცემული იყო სამაგისტრო პროგრამა „ქიმიური ექსპერტიზის“ შემთხვევაშიც, რომელიც ასევე გაითვალისწინა დაწესებულებამ.
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

თანდართული დოკუმენტაცია[13]

1. სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“ , სილაბუსები;
2. სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“ სწავლის შედეგების რუკა.

ექსპერტის ხელმოწერა

[13] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა